ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N3

გამარტივებული შესყიდვა

(საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მე-10/1 მუხლის 3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად)

დაფინანსების წყარო 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

თბილისი **„30“ დეკემბერი, 2020 წელი**

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4, საიდენტიფიკაციო კოდი - 204578206, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESDE22, ა.ა. GE24NB0330100200165022, ტელ: 2436999), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის **მედეა ჯანიაშვილის** სახით და **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი** (მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N158, საიდენტიფიკაციო კოდი 211350928, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა: 4003, ბანკის კოდი TRESDE22, ა.ა. 707117293) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის **გიორგი ხიდეშელის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი” - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი” - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება” - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

შემსყიდველის დროებით სარგებლობაში რიცხული შენობის დაცვის მომსახურება (CPV 79713000)

3. ხელშეკრულების ღირებულება და ვადა

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **3677.42 (სამი ათას ექვსას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და 42 თეთრი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელი, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.4 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს: **2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 20 იანვრამდე.**

3.5 მომსახურების გაწევის ადგილია: **თბილისი, სანაპიროს ქ. №4, V,VI და VII სართული.**

4. მხარეთა მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს თბილისში სანაპიროს ქ. 4 მდებარე შენობის V,VI და VII სართულებისა დაცვის მომსახურების გაწევა გამოკვლევის აქტის საფუძველზე პოლიციის 6 (ექვსი) უმცროსი ინსპექტორის საშუალებით 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 20 იანვრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს II განყოფილების მიერ ყოველდღიურად, 24 საათიან სამუშაო რეჟიმში.

ბ) არ გაამჟღავნოს შემსყიდველის სამსახურებრივი საიდუმლოება;

გ) დაცვის ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს დაცვა ცეცხლსასროლი იარაღით ან იარაღის გარეშე;

დ) „პოლიციის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

ე) მიმწოდებელი ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

ვ) ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება, მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს შემსყიდველის საბუღალტრო დოკუმენტაციას;

ზ) შემსყიდველის ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას მიმწოდებელი მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

თ)განიხილოს შემსყიდველის წინადადებები და მონაწილეობა მიიღოს წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში.

ი) განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა გაწეული მომსახურების შესახებ.

კ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და მიმწოდებელთან ერთად იზრუნოს ობიექტის დაცვის სრულყოფისათვის;

გ) ობიექტის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, არ შევიდეს მასში მიმწოდებლის თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა;
დ) მიმწოდებელს 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს ობიექტზე მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: (ობიექტის დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება და ა.შ.);
ე) მიმწოდებლის თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.
ვ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი სალომე იმნაძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია, პერიოდულად ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობით დადგენილ ვადებში გამოასწოროს ხარვეზი, ხოლო თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარვეზის გამოსწორებას და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის გამოსწორების ვადა სცილდება ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ ხარვეზის გამოსწორება, ხოლო ხარვეზის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5 მიმწოდებელმა ხელი უნდა შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებაში.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ყოველთვიურად წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების ანგარიშის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს: **საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი სალომე იმნაძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

8.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ყოველთვიურად მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს 2021 წლის 20 თებერვლისა. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ „ბ“ „დ“ „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ასეთი დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-**ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ასეთი დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-ის** ოდენობით.

10.3 თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორცილება შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის: ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2021 წლის 20 მარტის ჩათვლით.**

15 ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე - მიმწოდებელს.

17 მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს**
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპირის ქ. №4	**სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი**
საიდენტიფიკაციო კოდი - 204578206	**მისამართი: თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი N158**
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა,	**საიდენტიფიკაციო კოდი - 211350928**
ბანკის კოდი TRESDE22,	**საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა: 4003,**
ა.ა. GE24NB0330100200165022	**ბანკის კოდი TRESDE22, ა.ა. 707117293**
ტელეფონი: 2436999	

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი	**სამმართველოს უფროსი**
მედეა ჯანიაშვილი	**გიორგი ხიდეშელი**

LEPL SECURITY POLICE DEPARTMENT

Digitally signed by LEPL SECURITY POLICE DEPARTMENT
Date: 2020.12.30 14:37:49 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ შემსყიდველის დროებით სარგებლობაში რიცხული შენობის დაცვის მომსახურების (CPV79713000) მიზნით დადებულ 2020 წლის „30“ დეკემბერს დადებულ №3 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - მედეა ჯანიაშვილი

ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი პირი - სალომე იმნაძე